

შ.პ.ს. „ექსპერტ ჯგუფი“

აუდიტორული დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ტაჟი ჯგუფი

2025 წლის 31 ივლისი

აუდიტორული შემოწმების ზოგადი მიმოხილვა

2024 წლის ივლისის თვეში შპს „ექსპერტ ჯგუფი“-ს ს/კ 204967900 (აუდიტორული აუდიტური ფირმების სახელმწიფო რეესტრის მიერ გაცემული სარეგისტრაციო ნომერი # SARAS-F-639733) (შემდგომში „შემსრულებელი“) აუდიტორმა კობა სალუქვაძემ (აუდიტური ფირმების და ფიზიკური პირების სახელმწიფო რეესტრის მიერ გაცემული სარეგისტრაციო ნომერი # SARAS-A-908248),

ჩავატარეთ შპს ტაჟი ჯგუფის (ს/კ 205224979), (შემდგომში „დამკვეთი“) 2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ბუღალტრული აღრიცხვის, დოკუმენტაციის და საქმიანობის აუდიტი.

აუდიტი ჩატარდა საზოგადოების მიერ წარმოდგენილი პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების, საბანკო ამონაწერების, ბუღალტრული პროგრამის, საგადასახადო ორგანოში წარდგენილი დეკლარაციების, მონაცემებზე დაყრდნობით.

აუდიტორული შემოწმება შეეხო 2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.

დაბეგვრასთან და აღრიცხვასთან დაკავშირებულ საჭირო განმარტებებს და ინფორმაციას იძლეოდა დამკვეთის მარიანა ნადოევი (პ/ნ 01030050842).

ზოგადი ინფორმაცია დამკვეთის შესახებ

დამკვეთი რეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 2007 წლის 03 ოქტომბერს და მინიჭებული აქვს საიდ. ნომერი 205224979.

შპს ტაჟი ჯგუფი არის რეგისტრირებული დღგ-ს გადამხდელად.

საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, დავით კობახიძის II შესახვევი, N 1.

საწარმოს ძირითადი საქმიანობის საგანს წარმოადგენს ალუმინის წარმოება და რეალიზება. ხოლო დამატებითი საქმიანობა პლასტმასის სამშენებლო ნაკეთობების წარმოება და რეალიზება.

შპს ტაჟი ჯგუფი ბუღალტრულ აღრიცხვაში იყენებს დარიცხვის მეთოდს და საბუღალტრო აღრიცხვას აწარმოებს კომპიუტერული პროგრამის **Fina** -ს მეშვეობით.

აუდიტის მოქმედებები და ღონისძიებების ჩატარება

აუდიტორული შემოწმების მიხედვით ჩატარებულ იქნა საწარმოს საგადასახადო ვალდებულებების სისწორის აუდიტი. შემოწმდა 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის დეკემბრამდე გადასახადების დარიცხვისა და დეკლარირების სისწორე.

ნაღდი ფულის სალაროში მოძრაობის შესწავლისათვის და სწორი ნაშთის დადგენისათვის ჩატარდა ფულადი სახსრების ინვენტარიზაცია.

დებიტორებისა და კრედიტორების აღრიცხვის აუდიტის რეალური ნაშთების აღმოჩენისათვის მოთხოვნილი იქნა კომპანიებისაგან შედარების აქტები, რითიც სახელდობრ შემოწმდა ნაშთების სისწორე.

სასაქონლო მატერიალური მარაგების გადამოწმება მოხდა. ჩატარდა ინვენტარიზაცია რასაც ნაწილობრივ დაესწრო აუდიტის წარმომადგენლობა.

შპს „ტაჟი ჯგუფი“-ს 2024 წლის მოგება-ზარალის უწყისი:

		
შპს „ტაჟი ჯგუფი“-ს		
მოგება-ზარალის უწყისი		
პერიოდი	01.01.2023- 31.12.2023	01.01.2024- 31.12.2024
შემოსავლები		
შემოსავალი რეალიზაციიდან	5,298,297	5,549,769
არასაოპერაციო შემოსავლები	-	1,624
შეძენილი საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	-	-
შემოსავლების ჯამი	5,298,297	5,551,393
ხარჯები	5,173,645	5,664,892
მიწოდების ხარჯები	18,793	49,073
სამეურნეო ხარჯი	635,020	1,837,092
სამივლინებო ხარჯი	12,750	29,279

რემონტი	-	656
კომპიუტერული ხარჯი	226	186
საკონსულტაციო ხარჯი	338	15,559
სხვა საგადასახადო ხარჯი	1,086	24,627
საბანკო ხარჯი	30,341	14,666
სოციალური დანარიცხი	23,694	21,831
კომუნალური	18,346	34,213
კომუნიკაციის ხარჯი	8,144	6,377
იჯარა	7,372	12,748
შრომის ანაზღაურება	868,970	999,018
დაზღვევა	14,523	17,695
ცვეთა და ამორტიზაცია	58,434	61,415
რეალიზებული საქონლის ხარჯი	2,470,205	2,371,695
სასაქონლო მატერიალური მარაგის კორექტირება	78,288	76,455
რეკლამის ხარჯი	76	133
სხვა საერთო ხარჯი	892,243	11,578
არასაოპერაციო ხარჯი	9,165	37,230
საპროცენტო ხარჯი	25,631	43,366
მოგება/ზარალი	124,652	(113,499)
განაწილებული მოგება	-	-
მოგების გადასახადი	-	-
საქმიანობის შედეგები	124,652	(113,499)

შპს „ტაჟი ჯგუფი“-ს 2024 წლის ბალანსის უწყისი:



შპს „ტაჟი ჯგუფი“-ს			
ბალანსის უწყისი	01.01.2023	31.12.2023	31.12.2024
აქტივები			
სავაჭრო მოთხოვნები	326,330	963,462	420,685
ფული და ფულის ექვივალენტი ლარში	296,337	11,913	125,508
საქონელი	127,472	143,433	139,417
ნედლეული და მასალა	699,089	572,819	791,059
მზა პროდუქცია	13,717	26,947	32,687
სხვა საასაქონლო მატერიალური მასალა	6,423	8,547	10,546
გადახდილი ავანსები	-	-	218,484
სხვა მიმდინარე აქტივი	28,120	6,357	-
მოკლევადიანი აქტივების ჯამი	1,497,488	1,733,478	1,738,386
გრძელვადიანი აქტივი	882,513	1,096,981	1,213,683
ფიქსირებული აქტივი	1,709	1,710	1,709
გრძელვადიანი აქტივების ჯამი	884,222	1,098,691	1,215,392
ჯამური აქტივები	2,381,710	2,832,169	2,953,779
ვალდებულებები	607,956	968,763	1,129,180
მოკლევადიანი ვალდებულებები	598,104	912,193	782,565
სესხის ვალდებულება		-	300,000
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	46,718	46,615
მოკლევადიანი ვალდებულებების ჯამი	598,104	958,911	1,129,180

სესხის ვალდებულება	9,852	9,852	-
გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამი	9,852	9,852	-
საანგარიშო პერიოდის მოგება ზარალი	361,567	124,652	(113,499)
საწესდებო კაპიტალი	59,257	24,257	44,257
გაუნაწილებელი მოგება	1,352,930	1,714,497	1,893,841
ჯამური საკუთარი კაპიტალი	1,773,754	1,863,406	1,824,599
ვალდებულებების და კაპიტალის ჯამი	2,381,710	2,832,169	2,953,779

აუდიტორული შედეგები და რეკომენდაციები

1. ვუწევთ რეკომენდაციას კვარტალურ ან თვიურ ჭრილში მატერიალური მარაგების კონტროლს და ინვენტარიზაციას.

2. სალაროს ინვენტარიზაცია თვიურ ან კვარტალურ ჭრილში.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი
შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო
საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და
წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ჯგუფის ფულადი სახსრები შედგება ჯგუფის საბანკო ანგარიშებზე, ასევე
სალაროში განთავსებული ნაღდი ფულის ნაშთისგან.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღიარდება მათი შეძენის თარიღით.
სასაქონლო-მატერიალური ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი
მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის
შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან (გარდა საგადასახადო ორგანოების
მიერ საწარმოსთვის დასაბრუნებელი გადასახადებისა).

ავტო-სატრანსპორტო საშუალებისთვის საწვავის შესყიდვა წარმოებს
ბარათებით და აღირიცხება მარაგის სახით განცალკევებულად.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო
პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების	შეფასება	ხდება
დაგროვილი ცვეთისა	დადაგროვილი გაუფასურების ზარალით	
შემცირებული თვითღირებულების	თანხით. ძირითადი საშუალებებზე	ცვეთა
გამოითვლება	შემცირებული ნაშთის	მეთოდის

გამოყენებით:

- ოფისისაღჭურვილობა 20%
- სატრანსპორტოსაშუალებები 20%
- ავეჯიდაინვენტარი 20%
- მანქანა-დანადგარები 20%
- შენობა-ნაგებობები 5%
- მიწა არ ერიცხება
- არამატერიალურიაქტივები 15%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილი კომპიუტერული პროგრამის უზრუნველყოფა, რომლებიც ასახულია დაგროვებითი ცვეთის შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზაცია ხდება შემცირებული ნაშთის მეთოდით

პროგრამულ უზრუნველყოფაზე წლიური 15%-იანი ვადით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლის გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

ჯგუფს გააჩნია რამდენიმე სახის შემოსავალი, მათ შორის მომსახურების და საქონლის მიწოდებიდან.

ხარჯები

საწარმო ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული

მომსახურების საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯები სძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეულიდანაზარჯები.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული

საქონლის ანმომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები

აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი ჯგუფი ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ ჯგუფი მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალია ისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სესხი

სესხით სარგელობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

წმინდა მოგება გამოიყენება დივიდენდების გასაცემად ან სხვა მიზნით დამფუძნებელთა გადაწყვეტილების მიხედვით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი იანგარიშება საქართველოს საგადასახადო კოდექსის (სსკ) XIII-ე თავის მოთხოვნების შესაბამისად, დარიცხული მოგების გადასახადი აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯის ანგარიშზე და აისახება წლის მოგება ზარალის ანგარიშში.



შპს „ექსპერტ ჯგუფი“

გენერალური დირექტორი/აუდიტორი

კობა სალუქვაძე

შპს „ტაში ჯგუფი“

დირექტორი

შაქრო სიმოევი

31.07.2025 წ.